



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 12
04/03/2021

12-06-4-202103041447



ინფორმაცია 2020 წლის ადგილობრივი შემოსავლების შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
61-მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ინფორმაცია 2020 წლის ადგილობრივი ქონების გადასახადის შესრულების შედეგების შესახებ მიღებულ იქნას ცნობად /დანართი თან ერთვის/.
2. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ქონების გადასახადის შესრულების შედეგები შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს შესაბამის კომისიას.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ინფორმაცია 2020 წლის ადგილობრივი შემოსავლების შესრულების

შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2020 წლის ადგილობრივი შემოსულობები არის შემდეგი სახის:

ქონების გადასახადის გეგმა იყო 400.0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა ამ დროისათვის შეადგინა 684.8 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 171.2%.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 300.3 ათ ლარი , ფაქტიურად შემოსულია 306.4 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 102%, მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 50.0 ათ ლარი, ფაქტიურად შემოსულია 74.3 ათ ლარი, გეგმა შესრულდა 148.6%. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 5.0 ათ ლარი, ფაქტიურად შემოსულია 10.6 ათ ლარი, გეგმა შესრულდა 212%, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 23.0 ათ ლარი, ფაქტიურად შემოსულია 34.7 ათ ლარი, გეგმა შესრულდა 150.9%. ჯარიმებით სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 20.0 ათ. ლარს, შემოსულია 14.6 ათ ლარი, გეგმის 73%. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავლის გეგმა შესრულდა 103.3 % (გეგმა 165.0 ათ ლარი, ფაქტი 170.5 ათ ლარი)

იჯარით გაცემული 29 ობიექტიდან შემოსულია 26 742.1 ლარი

აუქციონზე გატანილი ობიექტებიდან:

- 1.ავტომანქანა MAN 12-224 -გაიყიდა-16800ლარად.
2. ავტომანქანა ISUZU RODEO- გაიყიდა- 3850 ლარად.
3. ავტომანქანა WKW 251-გაიყიდა-1680 ლარად.
4. ავტომანქანა BXB 434 –გაიყიდა 2790 ლარად.
5. ავტომანქანა GTR 701-გაიყიდა 450 ლარად.
- 6.სოფ. ორბელში 195კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ მდგარი ერთსართულიანი ხის შენობა-გაიყიდა 2530 ლარად.